

კომპოზიციის და მუსიკის თეორიის ფაკულტეტი
საკონტაქტო პირი – ფაკულტეტის დეკანი,
ასოცირებული პროფესორი ნანა ლორია
ტელ.: 298 71 85

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა
კომპოზიცია

მისანიჭებელი კვალიფიკაცია:

კურსდამთავრებული მიიღებს სამუსიკო ხელოვნების მაგისტრის კვალიფიკაციას
პროგრამის ხელმძღვანელები: ასოც. პროფესორი ზურაბ ნადარეიშვილი
პროგრამის მოცულობა: 120 კრედიტი

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:

კომპოზიციის სამაგისტრო პროგრამაზე დაიშვებიან ბაკალავრის აკადემიური ხარისხის,
უმაღლესი აკადემიური სამუსიკო განათლების მქონე პირები.
პროგრამაზე ჩაირიცხებიან პირები, რომლებმაც გაიარეს კონკურსი შემოქმედებით ტურში.

სწავლების ენა: ქართული

სამაგისტრო პროგრამის მიზანი:

კომპოზიციის პროგრამის მიზანია სამუსიკო ხელოვნების მაგისტრის აკადემიური ხარისხის
მქონე მუსიკოსის, კომპოზიტორის მომზადება. კურსდამთავრებული სამუსიკო ხელოვნების
მაგისტრი შეიძლება დასაქმდეს კომპოზიტორის სტატუსით მუსიკალურ და დრამატულ
თეატრებში, კონოსტუდიებში; მოღვაწეობა განახორციელონ შემოქმედებით და
კულტურულ-საგანმანათლებლო ორგანიზაციებში.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:

კომპოზიციის სამაგისტრო პროგრამაზე დაიშვებიან ბაკალავრის აკადემიური
ხარისხის, უმაღლესი აკადემიური სამუსიკო განათლების მქონე პირები.
პროგრამაზე ჩაირიცხებიან პირები, რომლებმაც გაიარეს კონკურსი შემოქმედებით
ტურში.

სწავლის შედეგები:

ცოდნა და გაცნობიერება

- კურსდამთავრებულს აქვს კომპოზიციის დარგის უახლესი შემოქმედებით-
პრაქტიკული და კვლევაზე დაფუძნებული ღრმა და სისტემური ცოდნა;

- იცნობს სხვადასხვა ჟანრის დიდი ფორმის მუსიკალური ნაწარმოების შექმნის კანონზომიერებებს;
- აქვს თანამედროვე საკომპოზიტორო ტექნიკის, თანამედროვე ნოტაციის ღრმა ცოდნა;
- აქვს მუსიკალური ხელოვნების, მუსიკალური აზროვნების, მუსიკალური ჟანრებისა და ფორმების განვითარების სფეროში ღრმა და სისტემური ცოდნა;
- აქვს მუსიკალური ნაწარმოებების ანალიზის ღრმა ცოდნა ეპოქების მიხედვით;
- აქვს უახლესი მუსიკის თეორიის (ფორმა, ჰარმონია, პოლიფონია) საკითხების ღრმა ცოდნა;
- ფლობს მეცნიერული კვლევის საფუძვლებს;
- აქვს სისტემური ცოდნა ჰუმანიტარული დისციპლინების სფეროში;
- ფლობს ხელოვნების შესაბამისი დარგისათვის/ქვედარგისთვის დამახასიათებელ სპეციფიკურ მეთოდებს.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარები

- კურსდამთავრებულს აქვს შემოქმედებითი პროდუქციის - სხვადასხვა ჟანრის მუსიკალური ნაწარმოებების - შექმნის და წარდგენის პრაქტიკული უნარი;
- გააჩნია შემოქმედებით-პრაქტიკული პროექტების დამოუკიდებლად განხორციელების უნარი;
- გააჩნია სამეცნიერო პრობლემის ირგვლივ საჭირო ინფორმაციის მოძიების პრაქტიკული უნარი;
- გააჩნია სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შესრულების უნარი;
- შეუძლია პრაქტიკული მუშაობა კომპოზიტორის სტატუსით ხელოვნების დაწესებულებებში (თეატრები, კონოსტუდიები, რადიო-ტელევიზია) და კულტურულ-საგანმანათლებლო ორგანიზაციებში.
- შეუძლია რთულ, გაუთვალისწინებელ და სპეციალიზებულ გარემოში მოქმედება; შეუძლია კომპლექსური პრობლემის გადაჭრა დამოუკიდებლად; შეუძლია უნარების ადაპტირება ან ახალი უნარების გამოყენება ახალი სიტუაციებისათვის. შეუძლია ამოცანათა დაგეგმვა და პროფესიულ დონეზე დამოუკიდებლად განხორციელება. შეუძლია ამოცანების გადაწყვეტის ახალი/ორიგინალური გზების ძიება. დამოუკიდებლად გეგმავს და ახორციელებს კვლევას უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით.

დასკვნის უნარი

- დამოუკიდებლად შეუძლია რთული მონაცემების ანალიზი საკომპოზიტორო ხელოვნების დარგის თანამედროვე მეთოდების გამოყენებით;
- დამოუკიდებლად შეუძლია ინოვაციური მონაცემებისა და კონცეფციების გამოყენება მოცემული საჭიროებისათვის და პრობლემის გადასაჭრელად;

- შეუძლია წინააღმდეგობრივი მონაცემების ინტერპრეტირება;
- აქვს კრიტიკული აზროვნების უნარი, შეუძლია საკუთარი და სხვის მიერ შექმნილი მუსიკალური კომპოზიციის შეფასება;
- აქვს შემოქმედებითი პრობლემების ანალიზის და მათი გადაწყვეტის უნარი.

კომუნიკაციის უნარი

- გააჩნია მსმენელთან შემოქმედებითი კომუნიკაციის სპეციფიური უნარი (კომპოზიციის სფეროში კომუნიკაციის უპირატეს საშუალებას წარმოადგენს სამუსიკო ხელოვნების ენა, მსმენელთან დამყარებული ემოციური უკუკავშირი კომპოზიტორის მიერ შექმნილი მუსიკალური ნაწარმოების საკონცერტო შესრულების დროს);
- კურსდამთავრებულს შეუძლია აკადემიურ და პროფესიულ საზოგადოებაში დამაჯერებელი, დამოუკიდებელი და კომპეტენტური კომუნიკაცია;
- აქვს სოციალურ პარტნიორებთან (საკონცერტო ორგანიზაციებთან) კომპეტენტური კომუნიკაციის უნარი;
- შეუძლია აკადემიურ და პროფესიულ საზოგადოებაში დამაჯერებელი, დამოუკიდებელი და კომპეტენტური კომუნიკაცია ქართულ ენაზე;
- იცნობს და თავისუფლად იყენებს თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს, მათ შორის საკომპოზიტორო ხელოვნების სფეროში; შეუძლია მათი შემოქმედებითი და კრიტიკული გამოყენება საკომპოზიტორო დარგისთვის სპეციფიკურ კონტექსტში;
- საკომუნიკაციო დანეზე ფლობს ერთ უცხო ენას (დონე), გააჩნია უცხო ენაზე სამეცნიერო ტექსტების თარგმნის და შედგენის უნარი;
- გააჩნია საჯარო ურთიერთობების, კოლექტივში კოლეგიალური, შემოქმედებითი თანამშრომლობის უნარი.

სწავლის უნარი

- აქვს სპეციფიური სამუსიკო შემოქმედებითი უნარები, რომელიც კომპოზიციის სფეროში ახალი ცოდნის მიღების საშუალებას აძლევს;
- აქვს თვითგანათლების, კვალიფიკაციის ამაღლების უნარი;
- შეუძლია საკუთარი სწავლის გაუმჯობესების პროცესის მართვა რესურსების ფართო სპექტრის გამოყენებით;
- შეუძლია საკუთარი სწავლის შეფასება და შემდგომი სწავლის საჭიროების დამოუკიდებლად განსაზღვრა;
- შეუძლია სწავლის გაგრძელება დოქტორანტურაში.

ღირებულებები

- აქვს შემოქმედებითი და მაღალი მხატვრული ღირებულებანი და ზრუნავს მათ განვითარებაზე;
- ნებისმიერ სიტუაციაში იცავს პროფესიული ეთიკის ნორმებს;

- აქვს საზოგადოებაში მიღებული მორალურ-ეთიკური და სამართლებრივი სოციალური ურთიერთობების ნორმების დაცვის უნარი;
- იჩენს პატივისცემას ისტორიული მუსიკალური მემკვიდრეობის და კულტურული ტრადიციების მიმართ, ტოლერანტობას სხვა მუსიკალურ კულტურათა მიმართ.

სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები

სამაგისტრო პროგრამის განხორციელების აუცილებელი პირობაა შემოქმედებითი/პრაქტიკული და თეორიული სწავლების მეთოდებისორგანული ინტეგრაცია, სტუდენტის ინდივიდუალური შემოქმედებითი პოტენციალისა და უნარ-ჩვევების განვითარება საშემსრულებლო ხელოვნების დარგისა და შესაბამისი სპეციალობის სპეციფიკის გათვალისწინებით. პროგრამაზე სწავლებისას სტუდენტის პროფესიული დაოსტატების ხელშეწყობის მიზნით უპირატესობა ენიჭება ინდივიდუალური მეცადინეობის მეთოდს. სპეციალობის ძირითად მოდულში შემავალი სასწავლო კურსების შესწავლა შემოქმედებითი და საშემსრულებლო ამოცანების თანდათანობით გართულებას და უწყვეტი სწავლების მეთოდს ეფუძნება.

სწავლების პროცესში გამოიყენება აგრეთვე შემდეგი ფორმები და მეთოდები:

- ლექციები და პრაქტიკული მეცადინეობები/სემინარები;
- სტუდიური - რეპეტიციული მეცადინეობები, მათ შორის შემოქმედებითი პროექტების (ღია, კლასის, სოლო კონცერტები, კონკურსები, ფესტივალები) განსახორციელებლად;
- სწავლება პროფესიულ გარემოში (საკონცერტო დარბაზი);
- საშემსრულებლო ხელოვნების დარგის გამოჩენილ მოღვაწეთა პროფესიული მასტერკლასები;
- პრაქტიკულ/შემოქმედებითი დავალებების თეორიული ასპექტების შესწავლა;
- წიგნზე მუშაობის მეთოდი
- სხვადასხვა სახის შემოქმედებითი მიღწევების ანალიზი;
- პროფესიულ საკითხებზე დისკუსიებისა და დებატების იმიტირება - წარმართვა;
- შემოქმედებითი პროექტებით კონცერტებში, ფესტივალებსა და სხვადასხვა წარმოდგენებში მონაწილეობა;
- პროფესიული უნარების ფორმირების და განვითარების მიზნით სტუდენტის დამოუკიდებელი, აუდიტორიის გარეშე მუშაობა.

სასწავლო გეგმა

№	სასწავლო კურსის დასახელება	კრედიტები	საათები
სპეციალური სასწავლო კურსების/მოდულების ბლოკი			
1	სპეციალობის კლასის მოდული C	68	140

2	სამაგისტრო ნაშრომი	10	30
3	კვლევის საფუძვლები	2	15
4	თანამედროვე საკომპოზიტორო ტექნიკა	6	60
ზოგადი სასწავლო კურსების/მოდულების ბლოკი			
5	მუსიკალურ-თეორიული სისტემები	6	60
6	XX საუკუნის მუსიკალური ფორმები	6	60
7	XX საუკუნის ჰარმონია	6	45
8	კომპიუტერული მუსიკა	8	60
9	თანამედროვე ნოტაცია	3	15
ჰუმანიტარული სასწავლო კურსების ბლოკი			
10	აკადემიური წერა	2	15
11	კულტუროლოგია	2	30
12	არჩევითი საგნები	2	30
13	ჯამი	121	560

1. სასწავლო გეგმაში ასახულია მხოლოდ საკონტაქტო საათები. სტუდენტის დატვირთვის სხვა ფორმები იხ. შესაბამისი საგნის სილაბუსში/მინიმალურ სტანდარტში.
2. არჩევით საგნებზე გათვალისწინებული კრედიტები სტუდენტმა შესაძლებელია მოიპოვოს არჩევითი სასწავლო კურსის გავლის, ან სხვადასხვა სამეცნიერო/შემოქმედებით პროექტებში მონაწილეობის გზით. 240 კრედიტის ზევით სტუდენტის მიერ სამეცნიერო/შემოქმედებით პროექტებში მოპოვებული კრედიტები ასახვას ჰპოვებს დიპლომის დანართში.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

სტუდენტის ცოდნის შეფასება ხორციელდება საქართველოში მოქმედი კანონდებლობის შესაბამისად შემდეგი სქემით:

ქულები	ქულების ასოითი აღნიშვნა	შეფასების აღნიშვნა
91 – 100	A	ფრიადი
81 – 90	B	ძალიან კარგი
71 – 80	C	კარგი
61 – 70	D	დამაკმაყოფილებელი
51 – 60	E	საკმარისი
41 – 50	FX	ვერ ჩააბარა
0 – 40	F	ჩაიჭრა

პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური და ადამიანური რესურსები:

საბაკალავრო პროგრამის განსახორციელებლად კონსერვატორიას გააჩნია სანიტარული და ხანძარსაწინააღმდეგო ნორმების შესაბამისი მატერიალურ–

ტექნიკური ბაზა: სათანადოდ მომზადებული (მუსიკალური ინსტრუმენტები, კომპიუტერები, ბგერითი იზოლაცია, ვენტილაცია, გათბობის სისტემა, მერხები, დაფები, სადემონსტრაციო მოწყობილობა – აუდიო და ვიდეო ტექნიკა) სასწავლო აუდიტორიები, ლაბორატორიები, საკონცერტო და სარეპეტიციო დარბაზები, საოპერო სტუდია, ბიბლიოთეკები, ფონოთეკა.

პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსი: კონკურსის საფუძველზე მიღებული აკადემიური პერსონალი, მოწვეული მასწავლებლები/სპეციალისტები და დამხმარე პერსონალი.

პროგრამის გაუმჯობესების სტრატეგია

პროგრამის ხელმძღვანელის/ხელმძღვანელების, სასწავლო გეგმით გათვალისწინებული კურსების წამყვანი აკადემიური პერსონალის, დამსაქმებლების და სტუდენტების გამოკითხვის შედეგად მიღებული შეფასებისა და რეკომენდაციების გათვალისწინებით პროგრამა ექვემდებარება განახლებას, საჭიროების შემთხვევაში - მოდიფიცირებას.